## საგადახდო დავალება N1
"23" ოქტომბერი 2013 წელი

რეფერენსი 2253446014

გადამხდელის დასახელება: შპს LMC

ანგარიში (დებეტი) GE22BG0000000317659700 (ძველი ანგ.)

თანხა: 50-00

გადამხდელის ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

თანხა სიტყვებით: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს LMC

საიდენტ. კოდი: 404919120

მიმღების დასახელება: სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი): GE52BR0000010591718543

მიმღების ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი: REPLGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 23.10.13

გატარებულია ბანკის მიერ: 23.10.13

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

გადახდის დანიშნულება: საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასური: # 999; თარიღი : 23.10.2013 წ.

დამატებითი ინფორმაცია: განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი :# 999; შპს "LMC" ს/კ # 404919120;
შემსყიდველი: მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

LAND MANAGEMENT AND CONSULTING

*GEORGIA*
*TBILISI. Ir.Abashidze Str.50*
*Tel: (+995 32) 2 14 11 55*
*(+995 32) 2 14 29 61*
***LMCLTD2011@gmail.com***

25.10.2013წ.

№ L-25-10/2013

საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარეს
ბატონ ვანო ბურნაძეს

წარმოგიდგენთ, 2013 წლის 25 ოქტომბერს გამოცხადებულ: №999 „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. კაჩაგანში მდებარე წყალსაქაჩი/სატუმბი სადგურიდან სასმელი წყალმომარაგების სამარაგო ავზებამდე არსებული (ამორტიზებული/ფიზიკურად გაცვეთილი) მაგისტრალის რეაბილიტაცია/მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა", საკონკურსო წინადადებას.

შპს "LMC "

დირექტორი

დავით ჩახვაშვილი

საკონკურსო წინადადება
№999

თარიღი:25 ოქტომბერი 2013წ.
(კონკურსის ჩატარების თარიღი)

ვის:

მარნეულის მუნიციპალიტეტი თვითმმართველობას
(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: შპს „LMC"

გავეცანით რა საკონკურსო დოკუმენტაციას, თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. კაჩაგანში მდებარე წყალსაქაჩი/სატუმბი სადგურიდან სასმელი წყალმომარაგების სამარაგო ავზებამდე არსებული (ამორტიზებული/ფიზიკურად გაცვეთილი) მაგისტრალის რეაბილიტაცია/მშენებლობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად: 9 900 (ცხრა ათას ცხრაასი) ლარი.

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ აღნიშნული მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების („შემდგომ ხელშეკრულება) ძალაში შესვლიდან 20 დღის განმავლობაში.

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია 30 დღის განმავლობაში დაწყებული შემდეგი თარიღიდან: 25.10.2013წ.

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონსა, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესხებ" დებულებას და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

შპს "LMC"
დირექტორი დავით ჩახვაშვილი

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 673389
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13104135
ამონაწერის მომზადების თარიღი: 23/10/2013 09:14:39

---

სუბიექტი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: | შპს LMC |
| იურიდიული მისამართი: | საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ი. აბაშიძის ქ., № 50, (ყოფ. ბარნოვის ქ. № 152), სადარბაზო 3, ბ. 20 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 404919120 |
| სამართლებრივი ფორმა: | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: | 22/11/2011 |
| მარეგისტრირებელი ორგანო: | საჯარო რეესტრი |
| საგადასახადო ინსპექცია: | თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა |

---

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01019001017, დავით ჩახვაშვილი,
  დირექტორი, ,

---

პარტნიორები

| მფლობელი | წილი | წილის მმართველი |
|---|---|---|
| 01019001017, დავით ჩახვაშვილი, | 50.00000000% | |
| 01017037654, დევი უგრეხელიძე, | 50.00000000% | |

---

ვალდებულება

---

გირავნობა

---

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

---

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

GEORGIA
TBILISI. Ir.Abashidze Str.50
Tel: (+995 32) 2 14 11 55
(+995 32) 2 14 29 61
LMCLTD2011@gmail.com

შპს „LMC"

იურიდიული და ფაქტიური მისამართი:

ი.აბაშიძის 50 ბ 20

დირექტორი

დავით ჩახვაშვილი

საიდენტიფიკაციო №404919120

ტელ. 5 77 51 51 82

სს„საქართველოს ბანკი" ცენტრ.ფილიალი

ბანკის კოდი: **BAGAGE 22**

ა/ა №GE 22 BG 0000000 317659700

*LMCLTD2011@gmail.com*

შპს "LMC"

დირექტორი

დავით ჩახვაშვილი

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N143

## წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 14 ივნისი 2013 წ.

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში - „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

„მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

„დღე" „კვირა" „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

### 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

**ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, მომსახურე ბანკი - „ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE74LB0120137474229000 – (შემდგომში - „შემსყიდველი")**

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

**და მეორეს მხრივ, შპს „LMC", რომლის რეკვიზიტებია: ქ თბილისი, ი. აბაშიძის N50, ბინა 20, ს/კ 404919120, მომსახურე ბანკი - სს „ საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი, ბ/კ BAGAGE22, ა/ა GE22BG0000000317659700 - (შემდგომში - „მიმწოდებელი")**

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

### 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: SPA130010964, CPV-712000000/71242000, არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები, პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა, დუშეთის მუნიციპალიტეტში შემდეგი სამუშაოების შესასრულებლად: 1. ჭოპორტის ტერიტორიულ ორგანოში, სოფელ ბულაჩაური-ქუშრიაანთკარის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა; 2. დაბა ფასანაურში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (ხევშა-ფასანაური) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს: 29780 **(ოცდაცხრაათას შვიდას ოთხმოცი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა) გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი შეადგენს: 1. ჭოპორტის ტერიტორიულ ორგანოში, სოფელ ბულაჩაური-ქუშრიაანთკარის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა -14890 ლარი; 2. დაბა ფასანაურში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (ხევშა-ფასანაური) -14890 ლარი

ბ) მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი რუსთაველის ქ № 27

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს მომსახურების გაწევა. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, საექსპერტო დასკვნასთან ერთად.

6.2 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება „მიღება-ჩაბარების" აქტის საფუძველზე.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახური.

## 8. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს, იქნება მომხმარებლისათვის მაღალხარისხოვნად გაწეული და ნორმატივებისა და სტანდარტების შესაბამისად შესრულებილი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 3 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. ვადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარუდგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

15.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:

დუშეთის მუნიციპალიტეტი,

საკრებულოს თავმჯდომარე: /ი. საძაგლიშვილი/

მიმწოდებელი:

შპს „LMC", დირექტორი: /დ. ჩხაკაშვილი/

L M C

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. დუშეთი 3 ივლისი 2013 წელი

ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტის (შემსყიდველი) საკრებულოს თავმჯდომარემ ცარო საძაგლიშვილმა და მეორეს მხრივ შპს "LMC-ეს" დირექტორმა დავით ჩახვაშვილმა შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „LMC-ს" შორის 2013 წლის 14 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება №143. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ტენდერის (SPA130010964, CPV 71200000 "არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების, პროექტებისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა",) შედეგად – კერძოდ დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესასრულებელი სამუშაოების:

1. ჟოპორტის ტერიტორიულ ორგანოში, სოფელ ბულაჩაური–ქუბრიაანთკარის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა;
2. დაბა ფასანაურში სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (ხევშა–ფასანაური).

საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების მომსახურების შესყიდვა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **29780** (ოცდაცხრაათასშვიდასოთხმოცი) ლარს.

შპს „LMC" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულა ხარისხიანად და სახელშეკრულებო პირობის შესაბამისად, საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგინა ექსპერტის დასკვნასთან ერთად.

შპს „LMC"–ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს სატენდერო და სახელშეკრულებო პირობებს.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ:

**ჩავაბარე:** **ჩავიბარე:**

შპს „LMC" დირექტორი დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

_________________ /დ. ჩახვაშვილი/ _________________ /ც. საძაგლიშვილი/